საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის

ბრძანება №140

24 02 2010 წ.

თბილისი

ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის ფორმით ჩაბარების გამოცდების ჩატარებისა და ექსტერნად რეგიტრაციის ვადების განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისი 61-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 1 მარტის №155 ბრძანებით დამტკიცებული ,,ექსტერნატის ფორმით მიღებული განათლების სერთიფიცირების დებულების" მე-6 და მე-7[1] მუხლების საფუძველზე,

ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნათ განათლების მიღებაზე ექსტერნატ მსურველთა რეგისტრაცია დასრულდეს 2010 წლის 6 მარტამდე;

2. ზოგადი განათლების (გარდა ზოგადი განათლების დამამთავრებელი კლასისა) ცალკეული კლასის/კლასების, ტრიმესტრის/ტრიმესტრების ან/და საშუალო საფეხურის ცალკეულ კლასში შემავალი საგნის/საგნების ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების ექსტერნატის გამოცდები ჩატარდეს 2010 წლის 21 მარტიდან 2010 წლის 31 მარტის ჩათვლით;

3. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტს ამ ბრძანების განთავსება სამინისტროს ოფიციალურ ვებ–გვერდზე;

4. დაევალოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ადმინისტრაციის რეგიონული კოორდინაციის სამმართველოს ამ ბრძანების გაცნობა საგანმანათლებლო რესურსცენტრებისათვის;

5. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ექსტერნატის ფორმით ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2008 წლის 25 ნოემბრის №1029 ბრძანება;

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან ერთი თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6).

დიმიტრი შაშკინი